განმარტებითი ბარათი

ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 03 აგვისტოს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩას შორის, კერძოდმიცკევიჩის ქ. №25 ბ-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დამტკიცდა N 1/300 ქალაქმშენებლობითი პირობები.

საპროექტო მიწის ნაკვეთების ფუნქციური ზონა დადგენილი ქალაქმშენებლობითი პირობებით იყო განაშენიანების საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი (შერეული) ზონა (შზ), რომელშიდაც განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტია კ2= 3,0.

ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 22.12.2010წ. სხდომის ოქმი N 49 და "ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩებს შორის (საკადასტრო კოდები: N01.10.14.015.035; N01.10.14.015.037) მდებარე შენობაზე დაშენების მიზნით, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების შესახებ" ქ.თბილისის მერის 2010 წლის 30 დეკემბრის N4832 და N4813 განკარგულებები, რომლებითაც საპროექტო მიწის ნაკვეთების განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) განისაზღვრა კ2=3,6-ს.

აღნიშნული ქალაქმშენებლობითი პირობების საფუძველზე ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ივლისს 03/766 ბრძანებით შეთანხმებული იქნა საცხოვრებელი კორპუსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.